საქართველოს მეშარეთა ნ. ... ფედ. სარევ. პარტია.

ბრძოლა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ბრიგუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 ... ჩერვონ. ...
4 „ 15 ...
საგზლისპირის განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონეცი.
4 „ 1 მ. — „

№ 625 სამშაბათი, ნოემბრის 20 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია

ამით აცხადებს ყველა დაწესებულების და ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ

მოსკოვის ქურნალ-გ ზეთეგზედ

ხელის მოწერა დეკემბრის თვისათვის იწყება ამა ნოემბრის 20-დან, და გრძელდება ნოემბრის 29-მდე, რის შემდეგ შეწყვეტილი იქნება ხელის მოწერის მიღება.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ექსპედიცია, წიხდაწინვე აცხადებს რა ზემოთ აღნიშნულს, სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომ წინდაწინვე მოაწერონ ხელი დეკემბრისთვის, რადგან დანიშნულ ვადის შემდეგ ექსპედიცია ხელის მოწერას არ მიიღებს.

3—3 ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.

რევოლიუციონერი ახალგაზრდობა

საერთაშორისო მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობაში, რევოლიუციონურ ახალგაზრდობას თავი ... საპატიო ადგილი უჭირავს. შრომასა და კაპიტალს შორის გამართული ბრძოლის გარეშე ვერ ... ...ჩებოდა ახალგაზრდათა კონტიგენტი, რომელი... ...ტალისტურმა მეურნეობამ თავის ფერხულში ...ია და იწყო მისი სულიერი ფიზიკური ენერ...ის ...ზვრა ექსპლოატაცია.

კაპიტალისტური წესწყობილება ჯალათად მოევლინა ახალგაზრდობას, რომლის ერთი ნაწილი მყრალ სარდაფებში მოაქცია და ქარხნის ატმოსფერით დააშლეკინა, ხოლო მეორე ნაწილი იმპერიალისტურ ომებში გარეკა ზარბაზანთა დასაფლეკად მასალად, ახალი მაზრების დაპყრობის მიზნით.

ეს ...ის ტიტანიური სამხედრო ოპერაციები, რომელიც შექმნა კაპიტალისტურმა ეპოქამ, იწირავდა და იწირავს ახალგაზრდათა ლეგიონებს.

ამიტომ საერთაშორისო რევოლიუციონურ ახალგაზრდათა ერთ ერთი განუყოფელი და დიდი რევოლიუციონური საქმიანობა იყო და არის ანტიმილიტარისტული პროპაგანდა.

ევროპის ზოგ ქვეყნებში ახალგაზრდათა ბრძოლამ მიიღო მეტად სერიოზული ხასიათი. გერმანეთი და საფრანგეთი ამ მხრივ საუკეთესო ნიმუშებია.

სოციალისტურ პარტიებში ახალგაზრდობა წარმოადგენდა რევოლიუციონურ ელემენტს, რომელიც იბრძოდა პარტიების ოპორტუნისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ახალგაზრდათა რევოლიუციონურ ბრძოლის დიდი მნიშვნელობა და როლი სავსებით გაითვალისწინა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, რომლის კალთებს ქვეშ არის დღეს ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი. ეს უკანასკნელი დიდი ნაბიჯებით მიდის წინ და ახალ ახალი ლეგიონები ემატება მის რიგებს.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირს, თავისი 6 წლის არსებობის თავზე ემატება ჩვენი პარტიის ახალგაზრდათა რაზმი.

მშრომელ ახალგაზრდათა ოჯახი გამარჯვების გზით მიდის წინ.

კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის შესახებ მესჩანური აზრი მეტად ცუდი წარმოდგენისაა „კომსომოლის“ სახელწოდება რაღაც ახირებულ აზრებს უბადებს თავში პედანტიურად განწყობილ მოქალაქეს.

ეს კი საუკეთესო ატესტაციაა კომუნისტური ახალგაზრდობის რევოლიუციონური შეგნებისა და მოქმედებისათვის. რევოლიუციონური ძალების შეფასების ბარომეტრია ის ინტერვალი, რომლითაც მას შორდება რეაქციონური მასა. ამ მხრივ „კომსომოლი“ უეჭველად საუკეთესოდ აბარებს გამოცდას. მას შეაქვს ახალგაზრდობაში რევოლიუციონური შეგნება, პოლიტიკური აღზრდა. მკაცრი დისციპლინა.

ჩვენ ვესალმებით საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდათა დღეს, ჩვენს ახალგაზრდათა რაზმს ერთებთ მათ, საერთო ძალით ჩავებმებით რევოლიუციონურ ბრძოლაში კაცობრიობის პარაზიტული ელემენტების მოსასპობად.

გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირს!

გერმანეთის მდგომარეობა

გერმანეთში მდგომარეობა მეტის მეტად გამწვავებულია. ერთის მხრით გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ და მეორე მხრით გერმანიის ფაშისტები გერმანიის ს.-დემოკრატიის ლოცვა-კურთხევით, გენერალურ სამზადისს აწარმოებენ გადამწყვეტი ბრძოლის საწარმოებლად და ახლო მომავალში ჩვენ მოწმენი უნდა შევიქმნეთ ამ ორ ძალთა სამკვდრო სასიცოცხლო შეჯახებისა.

გერმანიის არსებულმა მთავრობამ არსებულ მძიმე მდგომარეობას თავი ვერ დააღწია და დღეს იდეა, როგორც დიდი, ისე პატარა კოალიციისა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მენშევიკები ამ კოალიციას კიდევ ეპოტინებიან, როგორც წყალწაღებული ეჭიდება ხოლმე ხავსს, უკვე გაკოტრებულად უნდა ჩაითვალოს გერმანიის ხალხის აბსოლუტური უმრავლესობისათვის.

შტრეზემანის მთავრობა გერმანიას ჰპირდებოდა იმ ჩიხიდან გამოყვანას, რომელშიაც ის მოაქცია ვერსალის ხელშეკრულებამ და პუანკარეს მტაცებლურმა პოლიტიკამ, მაგრამ შეასრულა ამ მთავრობამ თავისი დაპირება? გერმანიის დღევანდელი მდგომარეობის ოდნავი გადათვალიერებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხოთ. შტრეზემანის მთავრობამ, არამც თუ ვერ გამოიყვანა გერმანია შიგ მოწყვდეულ ჩიხიდან, პირიქით კიდევ უფრო არივდარია და გაამწვავა გერმანიის მდგომარეობა; დღეს ეს მთავრობა ცეცხლის მფრქვეველ ვულკანზედ იმყოფება და თითონაც არ იცის თუ როდის გადაბუგავს მას მთიდან ამოხეთქილი ცეცხლი. გერმანიის მდგომარეობა დღეს კატასტროფიულია, ეკონომიურმა სიღუბერემ, რომელიც თან სდევს ხოლმე ყოველნაირ რევოლიუციებს, დაჰფარა გერმანიის მნიშვნელოვანი ცენტრები, შიმშილი იქ გადაიქცა ყოველდღიურ მოვლენად, ხალხს საარსებო პური ვერ შეუძენია, ბერლინში ხდება სასურსათო მაღაზიების დარბევა, გერმანიის ფინანსიური კრახი უკვე მომხდარი ფაქტია; გერმანიის ხალხი გაჭირვების ბრჭყალებში დრტვინავს და ეძებს გამოსავალს არსებული მდგომარეობიდან, მაგრამ ეს გამოსავალი გარდა მუშათა კლასის გამყიდავ მენშევიკური პარტიის ლიდერებისა, ვერავის წარმოუდგენია „კოალიციონური კომედიის“ გზით.

ლიტერატურა, აი რა ასულდგმულებს გერმანიის ცხოვრებაში მომქმედ პოლიტიკურ ძალებს.

— გერმანიას იხსნის მხოლოდ ფაშისტური დიქტატურა, ამტკიცებენ გერმანიის ფაშისტები და რაზმავენ თავიანთ ბნელ ძალებს ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.

გერმანიის ფაშისტები გაფაციცებით მუშაობენ; ბავარიაში უკვე არსებობს ფაშისტური დიქტატურა და ის იქ იმდენად ძლიერად გრძნობს თავის თავს, რომ არ ემორჩილება საიმპერიო მთავრობას, მას არ უნდა დაემორჩილოს სექტას დიქტატურას, რომელიც უნდა ჩაითვალოს შტრეზემანის მთავრობის უკანასკნელ სულთა ბრძოლად.

ბავარიის ფაშიზმი ბრძოლას უცხადებს ბავარიის კომპარტიას და მას „დაშლილად“ აცხადებს. ხდება მასსიური დაპატიმრება კომუნისტებისა.

ბავარიის ფაშისტები ტონს აძლევენ გერმანიის ფაშისტურ მოძრაობას და როგორც იქ, აგრეთვე გერმანიის სხვა ნაწილებშიაც, ხდება მათი ძალთა მობილიზაცია გადამწყვეტი ბრძოლების საწარმოებლად.

გერმანიის ფაშისტების ახლო მომავალში ძალა უფლების ხელში ჩაგდების სამზადისის უეჭველ სიმპტომად უნდა ჩაითვალოს გერმანიაში კრონპრინცის და კაიზერის დაბრუნება. კაიზერის და კრონპრინცის გერმანიაში გამოჩენით ფაშისტები ახდენენ მოხერხებულ მანევრს: კაიზერის დროს გერმანია ძლიერი იყო, მის დროს გერმანიის მუშას და გლეხს არ შიოდა, მაშინ გერმანიას აბუჩად ვერავინ აიგდებდა, ყველაფერი რიგზე იყო, მისით ყველა კმაყოფილი იყო, ღარიბი და მდიდარი, მუშა და კაპიტალისტი, ერი და ბერი, ერთი სიტყვით მაშინ „თხა და მგელი ერთად სძოვდნენ“ და თუ გინდათ, რომ დავიბრუნოთ ის ძველი „სანატრელი“ დრო, აი, დადგა ჟამი, კაიზერიც აქ არის, დავსვათ ის ტახტზედ და გერმანიის საქმეც წალმა წავაო. აი, რას ეტყვიან ისინი გერმანიის ხალხს კაიზერის გამოჩენისთანავე და ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ეს ეფექტი დიდ ენტუზიაზმს გამოიწვევს გერმანიის ხალხში, ის წამოეგება ფაშიზმის ანკესზე და გერმანიის პლუტოკრატიას საშუალება მიეცემა კიდევ დიდი ხნით ფცქვნან და ატყუონ გერმანიის მშრომელი ხალხი.

ამ დიდ საშიშროებას სიჩუმით უვლიან გვერდს გერმანიის მენშევიკები და ამით საშუალებას აძლევენ ფაშისტურ შავ ძალებს ამზადონ ნიადაგი გერმანიის ხალხზე ფაშისტური უღლის დასადგმელად.

რას შვება ამ დროს გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი და მისი წინამძღოლი კომუნისტური პარტია?

ისინიც ემზადებიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის და აწყობენ მებრძოლ რაზმებს მტერზე იერიშების მისატანად.

მიუხედავად ს. დემოკრატიის მოღალატურ პოლიტიკისა, მიუხედავად იმისა რომ ყველა პოლიტიკური ძალები დაწყებული შემთანხმებელ სოციალისტებიდან და გათავებული ფაშისტური შავი ძალებით ყველა ეწინააღმდეგება კომპარტიის რევოლიუციონურ პოლიტიკას, ის მაინც დღითი დღე იზრდება, ძლიერდება, მის რიგებს ავსებენ ახალ-ახალი მუშურ-რევოლიუციონური ძალები, რომლებიც გულ-გატეხილნი ს.-დემოკრატიის ანტი-რევოლიუციონური პოლიტიკით მასსიურად სტოვებენ მენშევიკურ პარტიას და გადადიან კომუნისტურ პარტიაში და ამ რიგად სდგება ის ძლიერი რევოლიუციონური არმია, რომელმაც უნდა წალიკოს გერმანიის ცხოვრებიდან ყოველნაირი კონტრ-რევოლიუცია და დაამყაროს იქ პროლეტარიატის ძლიერი დიქტატურა.

კომპარტიის ხელმძღვანელობით ხდება გერმანიის სხვა და სხვა ადგილას პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათის გაფიცვები, რომელთა გატარებითაც გერმანიის მუშები იღებენ ახალ-ახალ გამოცდილებას, ახალ-ახალ ბრძოლის გაკვეთილებს და ამ ბრძოლებში კაუდება პროლეტარული რაზმების ნებისყოფა და ბრძოლის უნარი.

რას მოგვიტანს ახალი მომავალი? საით გადაიხრება ბრძოლის სასწორი? ვინ გაიმარჯვებს? შესლებს გერმანიის ფაშიზმი ჩაიგდოს ძალა უფლება ხელში და დაამყაროს ფაშისტურ მონარქიული დიქტატურა თუ გერმანიის პროლეტარიატი სძლევს თავის მტრებს და ააგუზგუზებს გერმანიის სივრცეზე პროლეტარული რევოლიუციის ცეცხლს? აი საკითხები, რომლებიც აღელვებს დღეს ყველა მუშათა კლასის მეგობარს და კეთილისმყოფელს და რომელთა გადაჭრასაც პროლეტარიატის სასარგებლოთ მოუთმენლად მოელის მთელი ქვეყნის რევოლიუციონური ძალები.

ვინ გაიმარჯვებს ახლო მომავალში, ეს ეხლა ძნელი სათქმელია, მაგრამ გერმანიის ხალხს რომ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა გამოიყვანს იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც ის დღეს იმყოფება, რომ ვერავითარი სხვა ძალა ვერ შეასრულებს ამ მძიმე მისსიას, ამაში დარწმუნებული უნდა იყოს ყველა ის, ვინც ოდნავად მაინც გასცნობია არსებულ საერთაშორისო ვითარებას.

ვსთქვათ, რომ პირველ ხანებში გერმანეთში გაიმარჯვა ფაშისტურმა დიქტატურამ, რაიც ადვილი მოსალოდნელია იქაური ს. დემოკრატიის მოღალატური პოლიტიკის გამო. განა ის შესძლებს დიდი ხნით შეინარჩუნოს ძალა-უფლება ხელში? ვერა! ის ამას ვერ შესძლებს. ვერ შესძლებს იმიტომ, რომ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისათანავე ის გაკოტრდება და ვერ შეასრულებს რა ვერც ერთ დაპირებას მიცემულს გერმანიის ხალხისადმი, ის დაჰკარგავს ნდობას ბაშინვე იმ ჭრელ მასსაში, რომლის მოტყუილების იმედიც აქვს გერმანიის ფაშიზმს. ვერ მოსპობს გერმანიის ფაშიზმი შიმშილს გერმანიაში, იმიტომ, რომ პურს მას ამ შიმშილის მოსასპობად არ მისცემს არც ამერიკა, რომელიც მტრულად არის განწყობილი მისდამი და მით უმეტეს, მას არ მისცემს პურს საბჭოთა რუსეთი, რადგანაც ამ პურს გერმანიის ფაშიზმი მოიხმარს გერმანეთში გაბატონებული კლასების სასარგებლოთ. ვერ მოსპობს ის აგრეთვე გერმანიის ფინანსიურ კრახს, რადგანაც საფრანგეთის იმპერიალისტები ასჯერ უფრო მაგრად მოუჭერენ მას მუხრუჭებს სარეპარაციო ვალების გადასახდელად, რომ ამით ჩაახშონ მისი არსებობა, ვინაიდან საფრანგეთის იმპერიალისტებს ეშინიათ გერმანიის ფაშისტების სარევანშო ომის. ვერ ჩამოაგდებს გერმანიის ფაშიზმი სიწყნარეს და მშვიდობიანობას ქვეყანაში, რადგანაც გერმანიის პროლეტარიატი არასოდეს შეურიგდება მის თარეშს და ფაშიზმის გაბატონების მეორე დღესვე ის ბარიკადებს აღმართავს ქუჩებში ამ კონტრ-რევოლიუციონურ შავი ძალების წინააღმდეგ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლის გასამართავად. ერთი სიტყვით, გერმანიის ფაშიზმი დარჩება ხოლოდ თავის თავის სუსტი კონტრ-რევოლუციონურ ძალების ამარა, ის დარჩება გარიყული როგორც შინაური რევოლიუციონური ძალების მიერ, აგრეთვე მეზობელ სახელმწიფოების კონტრ-რევოლიუციონურ იმპერიალისტურ ძალებისაგან და ამიტომ ის გაბატონებიდან თუ რამოდენიმე კვირას არა რამოდენიმე თვის განმავლობაში დალევს თავის ცოდვილ სულს და დაუთმობს ადგილს მეორე დიქტატურას, დიქტატურას გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატისას თუ კი, ვამბობთ ჩვენ, ისტორიას სურს, რომ გერმანიის ხალხმა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაადე განიცადოს დიქტატურა კონტრრევოლიუციონური ფაშიზმისა.

რასაკვირველია, ითა და ვარდით არც გერმანეთის პროლეტარიატის დიქტატურის გზა იქნება ...ოფენილი და გერმანიის რევოლიუციონურ ძალებს აუცილელი მსხვერპლის გაღება დასჭირდება, რათა საუკუნით დაამკვიდროს გერმანიის მიწაწყალზე მშრომელთა ძალა-უფლება. პროლეტარული გერმანიის უპირველესი და უძლიერესი მეგობარი ეს იქნება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი, რომელსაც უპირველესად ყოვლისა შეუძლია ბოლო-მოუღოს გერმანიის მშრომელ ხალხის შიმშილს და დაუკავშირდება რა მას ეკონომიურად, თავისი ნედლი მასალით ის გააძლიერებს პროლეტარული გერმანიის ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას, ეს იქნება დიდი კოზირი გერმანიის პროლეტარული რევოლიუციისათვის.

გარდა აძისა გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციას მხარს დაუჭერს მთელი ევროპის რევოლიუციონურ მუშათა კლასი, რამდენადაც ეს უკანასკნელი თანდათანობით თვისუფლდება ოპორტიუნისტულ მენშევიზმის დამღუპველ გავლენისაგან და ეზიარება კომპარტიების და კომუნისტური ინტერნაციონალის რევოლიუციონურ პოლიტიკას.

მართალია, გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციას ეყოლება ბევრი მტრები, ჯერ ერთი, თვით გერმანიაში, როგორც გერმანიის ფაშიზმის სახით ისე მემარჯვენე „სოციალისტების“ და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების სახით, და მეორე მეზობელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ფაშისტურ, იმპერიალისტურ, მემარჯვენე „სოციალისტების“ და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების სახით, მაგრამ უპირატესობა გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარულ ძალებისა გამოიხატება იმაში, რომ ეს ძალა წარმოადგენს ნაწილს კომუნისტურ ინტერნაციონალისას, შეკავშირებულს და შეუდარებელს მტკიცე დისციპლინით და ბრძოლის უნარით, ძალას, რომელიც რევოლუციონური შტაბის კარნახით, როგორც შეკუმშული მუშტი ეკვეთება მტრების ხან ერთს და ხან მეორე რაზმს, იმ მტრების რაზმებს, რომელთა შორის სუფევს უთანხმოება, რომელთაც ღრღნის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელებიც ერთი მეორეში ვერ მორიგებულან. ამიტომ ჩვენ სრულის იმედით უნდა შევსცქეროდეთ გერმანიის პროლეტარული რევოლიუციის მომავალს, უნდა გვწამდეს მისი გამარჯვება და ყოველდღე უნდა ვიყოთ მზათ, რათა ძმური დახმარების ხელი გავუწოდოთ პროლეტარულ გერმანიას.

ი. ვადაკორია.

ქალაქ-ლაპარაკში

(„ზაკროსტას“ ცნობები 18 ნოემბრიდან).

— **შტრეზემანი ნდობა-უნდობლობის საკითხს ჰსვამს.**

— **ნაციონალისტებმა გადასწყვიტეს კარს დაუჭირონ მხარი.**

— **ბავარიის ფაშისტებს შორის სრული შეუთანხმებლობაა გამეფებული.**

— მოკავშირეთა შორის არ არის ერთსულოვნება

— 9 დეკემბერს გერმანეთში მოწვეულია მუშათა დახმარების საერთაშორისო კონგრესი.

— ფრანგების საოკუპაციო ჯარმა წაიწია ოკუპაციისაგან თავისუფალ გერმანეთში

— ინგლისი გერმანეთის რკინის გზებს სესხად აძლევს 4 მილ. გ. სტ.

— რურის ოლქში მრეწველებმა გამოაცხადეს 10 საათის სამუშაო დღე

— ჰალლეს სოც.-დემ. ორგანიზაცია კომპარტიაში გადავიდა.

— დემოკრატები დირექტორიის წინააღმდეგნი არიან.

— მბეჭდავთა გაფიცვის მეთაურნი სამართალში მისცეს.

— შემთანხმებლები კვლავ საბოტაჟს ეწევიან.

— ბავარიას საკუთარი ვალიუტის შემოღება სურს.

— კრონპრინცი „ქველმოქმედებას" ეწევა.

— ვოროვსკის მკვლელნი გაამართლეს.

გერმანეთის ამბები

შტრეზემანი სვამს ნდობის საკითხს.

მემარჯვენე წრეები განაგრძობენ შტრეზემანის გადადგომის მოთხოვნას. ნაციონალისტების უარყოფითი განწყობილების გამო, შტრეზემანი სცდილობს სოც.-დემ. ნეიტრალიტეტი მაინც უზრუნველჰყოს თავისთვის.

თუ სოც.-დემ. მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა, მაშინ შტრეზემანი რეიხსტაგში საკითხს დასვამს თავისი ნდობის შესახებ. თუ რეიხსტაგმა მიიღო უნდობლობის ვოტუმი, მაშინ შტრეზემანი მას დაითხოვს.

გიტლერის წინააღმდეგ და კარის მხარეზედ.

დიდი კამათის შემდეგ ნაციონალისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლითაც ისინი წინააღმდეგნი არიან გიტლერისა და მხარს უჭერენ კარს, ხოლო ამავე დროს იცავენ ლიუდენდორფს.

ფაშისტები ტერორით იმუქრებიან.

კარმა გამოაქვეყნა განკარგულება, რომლითაც ფაშისტურ პარტიასა და სამხედრო კავშირებს „ობერლანდ" სა და „საიპერიო დროშა"-ს დაშლილად აცხადებს. ფაშისტებმა განაცხადეს, რომ ისინი არ სცნობენ ამ განკარგულებას და ტერორით იმუქრებიან, თუ გაგრძელდება „ეროვნულ—განმანთავისუფლებელი მოძრაობის" დევნა.

სრული მოურიგებლობა ფაშისტთა შორის.

ბავარიის ფაშისტთა შორის სრული მოურიგებლობაა. კარი სცდილობს აღადგინოს უკიდურეს მემარჯვენეებთან ძველი განწყობილება, რისთვისაც იგი გამოდის კნილინგის მთავრობის წინააღმდეგ, რათა ამით მემარჯვენეებს თავისი ლოიალობა დაუმტკიცოს.

მიუნხენში ლაპარაკობენ, ვითომც კარს განზრახვა ჰქონდეს კვირას ბავარიის მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდეს. კარას გეგმა მდგომარეობს ბავარიაში მონარქიისა ჰუნგრეთის მსგავსად, და თავისი თავისი რეგენტად გამოცხადებაში, ვიდრე ბავარიის კრონ-პრინცი რუპრეხტი ავიდოდეს ტახტზედ.

ბავარიშს მონარქისტები მომენტს შესაფერისად სთვლიან მონარქიის გამოსაცხადებლად, რადგანაც ფიქრობენ, რომ უახლოეს დროში კრონ-პრინცი დაიჭერს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტს.

კარი მხარს უჭერს გამოყოფილ ბავარიას, რომელიც დაეყრდნობა ავსტრია-ალპიის სახელმწიფოებს. რუარეხტი ბავარიის პრუსიისაგან გამოყოფის მომხრეთა გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელიც ესწრაფვიან გამოაცხადონ რუპრეხტი სრულიად ერმანეთის იმპერა ტორად, რასაც წინ უნდა უძღოდეს საიმპერიო პრეზიდენტის ადგილის დაჭერა კრონ-პრინცის მიერ. ამ პოლიტიკის გამომხატველი, რუპრეხტის კანცელარიის უფროსი, გრაფი სოდენი, მოლაპარაკებას აწარმოებს ერხარდტთან და ფიქრობს, რომ ეს უკანასკნელი დასთანხმდება ძოჭენცოლერნების შეცვლას ვიტელსბახებით, იმ პირობით, რომ დაცულ იქნეს იმპერის მთლიანობა. იგივე გრაფი სოდენი მოლაპარაკებას აწარმოებს ერხარდტთან, რათა ამ უკანასკნელს დაეკავოს ბერლინზედ გალაშქრების მეთაურობა, „წესრიგის აღსადგენად იქ".

ფულის უქონლობა ერხარდტს იძულებულ ჰყოფს სასწრაფოდ მიიღოს გადაწყვეტილება, რისთვისაც მისი მოწინააღმდეგე კარი უნდა აჩქარდეს. ერთ და იმავე დროს მოლაპარაკება სწარმოებს ერხარდტსა და კარს შორის, რომელსაც არ ჰსურს სრულ დამოკიდებულებაში იყოს ლოსოვთან.

საერთოდ კარი, რუპრეხტი, ერხარდტი, გენ. ლოსოვი და კნილინგი სცდილობენ ეშმაკობით აჯობონ ერთანეთს. შემდეგი განვითარება ამბებისა გერმანეთში დამოკიდებულია მასზედ, თუ ვინ უფრო მალე შეუთანხმდება შტრეზემანისა და კნილინგის მთავრობებს ან გენერლებს სეტტსა და ლოსოვს.

ბავარიის მუშებს კარგად ესმით, რომ ამნაირი შეთანხმება მათ ხარჯზედ მოხდება, ბავარიის კომპარტია სუსტია იმისათვის, რომ გამოვიდეს კარის განკარგულების წინააღმდეგ კომპარტიის დაშლის შესახებ. სოციალ-დემოკრატია, მიუხედავად იმისა, რომ განიცდის დევნას, ხაზგასმით აღნიშნავს თავის „ლოიალობას" და დამშვიდებული ელოდება კარის განკარგულებას მისი დაშლის შესახებ.

ბავარიის მთავრობამ, დაჰგმო რა გიტლერისა და ლიუდენდორფის გამოსვლა, ბავარიის ზოგიერთ წრეებში დაჰკარგა პოპულიარობა. და ამისათვის ვეღარა ჰბედავს გააუქმოს საალყო წესები და საგანგებო ქალაქო კომისრის თანამდებობა.

მოკავშირეებს აკლიათ ერთსულოვნება

ელჩთა კონფერენციამ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ გამოიტანა ვერც კრონპრინცის დაბრუნებისა და ვერც გერმანეთზედ სამხედრო კონტროლის აღდგენის საკითხებში. საფრანგეთის წარმომადგენელი მოითხოვდა კრონპრინცის გადაცემას და მოკავშირეების კონტროლის აღდგენას გერმანეთის შეიარაღებაზედ. ინგლისის წარმომადგენელი დასთანხმდა პროტესტი განაცხადონ მხოლოდ კრონპრინცის დაბრუნების გამო, ხოლო უარს ამბობს მიიღოს საფრანგეთის მიერ წარმოდგენილი ზომები, თუ გერმანეთი არ მიიღებს ამ პროტესტს.

პუანკარემ განაცხადა, რომ. თუ შემდეგ სხდომაზედ ვერ შეთანხმდა კონფერენცია, მაშინ საფრანგეთი თვითონ მიიღებს ზომებს გააფართოვებს ოკუპაციას და დაიჭერს რკინის გზებს ჩრდილოეთსა და სამხრეთ გერმანეთში.

პარიზის ბურჟუაზიული პრესა მწუხარებით აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა შორის აო არის ერთსულოვნება.

დაპატიმრებულ მბეჭდავთა განთავისუფლება

პარასკევს გამოვიდა ყველა საღამოს გაზეთები. მბეჭდავთა კავშირის პრეზიდიუმის დაპატიმრებული წევრები განთავისუფლებულნი არიან.

28 წარმოების დახურვის წინაშე

ბერლინის მეტალურგიულ მრეწველობაში განზრახულია 28 ფაბრიკის დახურვა.

საერთაშორისო პროლეტარული დახმარება გერმანეთს

მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია 9 დეკემბერს ბერლინში იწვევს საერთაშორისო კონგრესს, გერმანეთში სიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების განსახილველად.

ზრდილი მენშევიკები

საქსონიის ლანდტაგის სოც.-დემოკრატიული ფრაქცია ცეიგნერს ბრალსა სდებს „უზრდელ" მოქმედებაში იუსტიციის მინისტრად ყოფნის დროს და წინადადებას აძლევს მას, მოიხსნას დეპუტატის უფლებები.

ქველმოქმედება და არა სესხი

„ნიუ-იორკ-ტაიმსი" უარყოფს ყველა ხმებს, ვითომც ამერიკა აძლევდეს გერმანეთს სესხს, მცხოვრებლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, და აღნიშნავს, რომ ამნაირი დახმარების აღმოჩენა კერძო ქველმოქმედების საქმეა.

სამხრეთ-სლავია და გერმანეთი

ბელგრადიდან ბერლინში მიღებულ ცნობით, სამხრეთ-სლავიის მთავრობამ დაადგინა წარმომადგენლები გაგზავნოს ბერლინში, საგანგებო საკითხზედ მოსალაპარაკებლად.

ფრანგების რეკრეაციები

კელნის გაზეთების ცნობით, საფრანგეთის ჯარმა წაიწია ოკუპაციისაგან თავისუფალ [illegible] ში და დაიპირა ვიდ ლუსლინგ-შელნის ხაზი, [illegible] პანტებმა განაცხადეს, რომ ამ ადგილების დაპ[illegible] მოხდენილია, როგორც სანეტთა მცხოვრებლ[illegible] მიერ 4 ფრანგის ცემისათვის.

ინგლისის სესხი ნახშირის შესაძენად.

ლონდონიდან ბერლინში მიღებულ ცნობი[illegible] ინგლისსა და გერმანეთს შორის დაიდვა შეთანხმ[illegible] ბა, რომლითაც ინგლისი გერმანეთის რკ. გზებს აძლევს სესხად 4 მილიონ გირვ. სტერლინგს, რკ[illegible] გზის საჭიროებისათვის ინგლისში ნახშირის სასყ[illegible] დლად.

როტის დატუსაღება.

მიუნხენში დააპატიმრეს ბავარიის ყოფილ[illegible] მინისტრი როტი, რომელიც დიდი მომხრეა გი[illegible] ლერისა.

ებერტის „მოწყალება"

პრეზიდენტმა ებერტმა შეიწყალა ჰამბურგ[illegible] აჯანყებაში მონაწილე მუშები და სიკვდილის დას[illegible] ჯა შეუცვალა ათი წლის ციხეში დაპატიმრებით.

კაიზერის უარყოფა

ყოფილი კაიზერი ჰოლანდიის პრესაში უარ[illegible] ჰყოფს ხმებს, ვითომც იგი ბრუნდებოდეს გერმანეთში და, ვითომც, დოორნის კოშკში არსებობდეს[illegible] რადიო-ტელეგრაფით კავშირი ნაუენთან.

სისხლის მღვრელი შეტაკება ესენში

ესენში მცხოვრებლებმა და პოლიციის შორის მომხდარ შეტაკებაში მოკლულია 2 და ბევრი დაჭრილი.

სეპარატისტთა გამოსვლა

ეგედინის ახლოს დიდი შეტაკება მოუხდა[illegible] სეპარატისტებსა და ქალაქის თავდაცვის რაზმს[illegible] ორივე მხარეზე ბევრია მძიმედ დაჭრილი.

სამუშაო დღის გაგრძელება

რურის მრეწველებმა განაცხადეს, რომ შ[illegible] დეგში მუშაობა სამ წყებად რვა-რვა საათს გ[illegible] ქმებულია და მუშაობა იწარმოებს ორ წყებად[illegible] საათის სამუშაო დღის შებოღებით.

დემონსტრანტების შეტაკება პოლიციასთან

დორტმუნდში კომუნისტების მიერ მოწყო[illegible] დემონსტრაციას შეტაკება მოუხდა პოლიციას[illegible] დორტმუნდის პოლიციის უფროსი მძიმედ არის დ[illegible] ჭრილი.

შეტაკება ესსენში

ესსენში უმუშევრებსა და პოლიციის შორ[illegible] მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება. დარბეულ[illegible] სასურსათო მაღაზიები. მუშევრებმა მოაწყვეს ბა[illegible] რიკადები. შეტაკებაში პოლიციამ დაჭკარგა 1 კო[illegible] კლული და 2 დაჭრილი, შეტაკების გამო, პოლ[illegible] ცია ახდენს დაპატიმრებას.

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲜᲝᲔ ᲥᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡᲐᲓᲛᲘ

ჩვენო დიდათ პატივცემულო და საყვარელო მასწავლებელო ნოე!

შენთვის ალბად მოულოდნელია ჩვენი ასეთი მომართვა. მაგრამ ამ ისტორიულ მომენტში, როცა ათეულ წლობით დაქსაქსული ხალხი მთლიან ოჯახს უბრუნდება, როცა იქმნება ერთი ფრონტი კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ, შენი ჩვენთან ყოფნა მეტად სასურველი და სასარგებლოა. მუშათა კლასს და მოწინავე გლეხობას, როგორც საქართველოში, ისე ამიერ-კავკასიაში, ყოველთვის ახსოვს შენი სახელი, როგორც იშვიათ მასწავლებლის და საამაყო ლიდერის. მისი შენდამი სიყვარული განუსაზღვრელი იყო და არის. ამიტომ უნდა მას, რომ ჭირშიც და ლხინშიც თან გიყოლიოს.

ამხანაგო ნოე. საქართველოს გასაბჭოება ისე მოულოდნელად და პატარა ხნის განმავლობაში მოხდა, რომ ჩვენ ვერ მოვასწარით დაფიქრება, საერთო აზრის, სულისკვეთების ერთმანეთისთვის გაზიარება და ისე მოქმედება. საქართველოს მთავრობის და განსაკუთრებით შენი საზღვარ-გარეთ წასვლა საბჭოთა ხელისუფლებისა დარჩა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის.

ახალმა ხელისუფლებამ ჩვენში ბევრი რამ ახალი მოიტანა. აქედან გულახდილათ უნდა გითხრათ, ამხანაგო ნოე, რომ თუ რაიმე შეეიწროებას და შეწუხებას ჰქონდა ადგილი, ეს მშრომელ მასას სრულიად არ შეხებია, არამედ თავს დაატყდა განსაკუთრებით საქართველოში მცხოვრებ შეძლებულ ელემენტებს. მაგრამ პარტიის დისციპლინის თანახმად, ჩვენ გავაჩაღეთ იატაკ ქვეშ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის შემდეგ ჩვენს ბრძოლას ისეთივე ბრძოლით უპასუხა ახალმა ხელისუფლებამ, როგორც ეს მის ბუნებას სჩვეოდა და მრავალი ჩვენი ამხანაგები ციხეებში მოექცნენ. მხოლოდ ამ მხრივ და როცა ჩვენ ვაძლევდით ამის სრულ საბუთს, ხდებოდა მუშათა კლასის ერთი ნაწილის დევნა, რომელიც ჩვენს პარტიაში ირიცხებოდა. მაგრამ ორ-ნახევარ წლის დაკვირვებამ დიდი გარდატეხა მოახდინა ჩვენი პარტიის მშრომელთა რიგებში. ერთი მხრივ ჩვენ ვრწმუნდებოდით ბრძოლის უნაყოფობაში, მეორე მხრივ კი სამხედრო კომუნიზმის დასრულება და საბჭოთა აღმშენებლობის ახალი ხანა მეტსა და მეტს გარანტიას ჰქმნიდა მშრომელი ხალხისთვის ყველა საზოგადოებრივ ეკონომიურ და პოლიტიკურ კითხვებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში დღეს, როგორც საზოგადო სოციალური უბედურება, ადგილი აქვს სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო ნაკლებ უმუშევრობას, მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უფრო კარგია, ვიდრე ეს რევოლიუციის შემდეგ სხვა რომელიმე დროს იყო. ეროვნული კითხვა ისე გადასჭრა კომპარტიის მე 12 ყრილობამ და ჩვენში, ადგილობრივ, ისე მტკიცედ ტარდება ის ცხოვრებაში, რომ ამით საფუძვლებით კმაყოფილია ქართველი ინტელიგენციაც კი. რაც შეეხება მუშათა სამკურნალო დახმარებას, აქაც დიდი მუშაობა სწარმოებს დასასვენებელი სახლების დიდი ნაწილი ჩვენს აგარაკებზე მუშებით არის სავსე. შრომის ყველა კანონები მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში და ჩვენს სასარგებლოდაა მიმართული. სწავლა-განათლების საქმე ისეა დაყენებული, რომ მეტს არავინ ჩვეთაგანი არ მოითხოვს. მუშათა ფაკულტეტების პროლეტარიზაცია და სხვა ჩვენს პირობებში ამაზე უფრო მეტს, მუშათა კლასის ეკონომიური და მოქალაქეობრივი უფლებების უზრუნველყოფის მხრივ, ვერავინ ვერსად შესძლებდა.

შეიძლება შენ მოგდის იმფორმაცია აქაურ ძდგომარეობის შესახებ, მაგრამ გარწმუნებთ, რამდენათაც შენ ანგარიშს გაუწევ ჩვენ მუშურ სიტყვას და რევოლიუციონურ წარსულს, ის ერთობ ცალმხრივი და ტენდენციური იქნება.

და, როცა ყოველივე ეს თვალსაჩინო გახდა ჩვენი პარტიის მშრომელ ნაწილისათვის, ის თანდათან გადმოვიდა პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე. დღეს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში დიდი თანაგრძნობა აქვს და განსაკუთრებით ეს ემჩნევა მუშათა წრეებს. ამის შემდეგ ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება საქართველოში და მის ნანგრევებზე ჩვენი ძალაუფლების რესტავრაცია ისეთი ბოროტება იქნებოდა მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ადრე თუ გვიან დაღუპვის უფსკრულში გადაგვისვრიდა და რასაც ისტორია არასოდეს არ გვაპატიებდა. რაც შეეხება ოქტომბრის რევოლიუციის დამარცხებას რუსეთის ფარგლებში—ეს პირწმინდა რეაქციის გაბატონებას დაედრებოდა, რაც შენც ხშირად გითქვამს ჩვენთვის.

ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ ამ ორნახევარ წლის ბრძოლაში, მაგრამ დავრწმუნდით, რომ ისტორია ამისთვის მადლობას არ გვეტყოდა. ის მდგომარეობა, რომელსაც აწყობს არალეგალური ცეკა, სრულიად არ ეკარება მუშის გულსა და სულს. დღეს სოც.-დემოკრატიულ პარტიის საქმე და სიტყვა სავსებით ასცდა მარქსისტულ თეორიაზე დაყრდნობილ რევოლიუციონურ ბრძოლას, რომელიც მას თავიდანვე ახასიათებდა. მუშები და გლეხები ასობით და ათასობით სტოვებენ პარტიას, არალეგალურ ცეკამ ვერც ერთი ლოზუნგი ვერ გადმოიტანა (გარდა ავანტიურისტულ ბრძოლისა). რომელის გარშემოც შესძლებოდა ამ პარტიის მშრომელ ელემენტს შემჭიდროება და დარაზმვა. პარტიის რიგები თანდათან თხელდებოდა და დღეს ფაქტია, რომ 12 (თორმეტი) ათას მუშამ და გლეხმა სამუდამოდ დასტოვა მისი რიგები. ამ რიცხვის გარდა, საგრძნობი ნაწილი ამხანაგების, რიცხვი 6 (ხუთი) ათას კაცამდე, რომელთაც დიდი რევოლიუციონური წარსული აქვთ, სავსებით ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას და სრულ ნიღილიზმს მისცა თავი. როგორც შენ არა ერთხელ გითქვამს, ამხანაგო ნოე, ეს ხალხი იყო პარტიის აქტივი რევოლიუციის შემდეგ. [რევოლიუციამდე-კი მხოლოდ ამათგან შესდგებოდა სოც.-დემოკრატიის რიგები და მხოლოდ ამათ ზურგზე გადადიოდა რეაქციასთან ბრძოლის მთელი სუსხი.

1917 წლის შემდეგ ჩვენი პარტია გასივდა და ავადმყოფურად გაიბერა, მისკენ მოილტვოდა და მას შემოეხვნა, როგორც გაბატონებულ პარტიას, ყველა გამვლელი და ბედის [illegible]ძიებელი ადამიანი. რაც შეეხება რევოლიუციის შემდეგ ჩვენთან მოსულ მუშებსა და გლეხობას, რომლებიც მომეტებით ახალგაზრდები იყვნენ, დღეს ისინიც ჩვენთან არიან, ე. ი. სავსებით სდგანან პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე. პარტიის ასეთი დაშლა—შეიძლება შენ რეპრესიების ნაყოფი გეგონოს, მაგრამ სად გაგონილა, რომ რეპრესიებს ასეთი მასიური გადახრა შეექმნას რომელიმე პარტიის სულისკვეთებაში, ან რატომ სხვა დროს არ ვუფრთხოდით ჩვენ რეპრესიებს. ესე რომ არ იყოს, ჩვენი გვარებით და ვინაობით [illegible]შენ გაიგებ, რომ ძალდატანება ჩვენში ვერ მოახდენდა აზრისა და მოქმედების შეცვლას. უკვე მოხდა ს.-დემოკრატიულ პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობა. ყრილობაზე წამოგზავნილი იყვნენ ყველა მაზრებიდან, გარდა რაჭა ლეჩხუმისა (სადაც არჩევნები დაგვიანდა) დელეგატთა თითქმის მთელი შემადგენლობა ჩვენი ძველის ძველი ამხანაგები იყვნენ, რომელთაც რუსეთის კატორღის საშინელებაც გამოუვლიათ და ჩეკის სარდაფებშიც მსხდარან. ყრილობამ პარტია დაშლილად გამოაცხადა და პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმ გაიზიარა. ჩვენ ზოგიერთები გვისაყვედურებენ, რომ პარტიის დაშლის შემდეგ არ ვინარჩუნებთ ცალკე ორგანიზაციის სახელ და სავსებით ვითქვიფებით კომუნისტურ პარტიის რევოლიუციონურ მასაში.

უპირველეს ყოვლისა ჩვენცა და კომუნისტებიც მარქსისტები ვართ. ამას შენ თვითონაც გვასწავლიდი. ჩვენი მსოფლმხედველობის საფუძველი ერთი და იგივეა. ის მეცნიერულ მატერიალიზმს ეყრდნობა. რაკი მოისპო ჩვენში ტაქტიკური და ბოლო დროს წარმოშობილი პრინციპიალური უთანხმოებანი, ამის შემდეგ ჩვენ საერთო პლატფორმა უნდა შეგვექმნა. მით უმეტეს, რომ ამას მუშათა კლასის მთლიანობის ინტერესები მოითხოვს. ჩვენ ვშიშობდით, რომ ცალკე პარტიის შექმნა, რაც უნდა ახლო მდგარიყო ის კომუნისტურ პარტიის პროგრამასთან, ბოლოს და ბოლოს ისეთსავე განხეთქილებამდი მივიყვანდა, როგორსაც ადგილი ჰქონდა სოც.-დემოკრატიულ პარტიის ორ ფრთის შორის. ვოველივე ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ყველანი მუშები და გლეხები ვართ, არ გაგვაჩნია საიქისო იდეოლოგები, რომელთაც შეეძლებოდათ ახალი გზის გამონახვა და ჩვენი იდეური ხელმძღვანელობა.

ჩვენთვის მეტად სამწუხაროა, რომ ამ საბედისწერო და საპასუხისმგებლო მომენტში შენ აქ არ იყავი. სოც.-დემოკრატიულ პარტიის მშრომელი [illegible]ნაწილი ბედის ანაბარა დარჩა. მიატოვა საზღ[illegible] ვარეთ წასულ მისმა ადრინდელმა ხელმძღვანელებ[illegible], მას არ აკმაყოფილებდა ადგილობრივ ცეკას პოზიცია, რომლის გარეშემოც ამ ხანად ათიოდე მოსწავლე ახალგაზრდობა და თითო ოროლა ჩვენი გაჯიუტებული ამხანაგობა იყრის თავს და ამ მშრომელთა ნაწილმა ჩვენი პარტიისა, თავის სოციალურ ბუნების კარნახით დაიღწია თავი ბურუსს.

ჩვენ, რომლებიც ათეულ წლობით შენთან ვიყავით, ამხანაგო ნოე, ამ წასვლის, სამუდამო განშორების და გამომშვიდობების დროს, მოვალეთ ვრაცხთ ჩვენს თავს ამ ბარათით მოგმართოთ.

ჩვენ გვინდა, რომ შენც ჩვენს რიგში იყავ. ჩვენ არასოდეს არ დავიჯერებთ, რომ შენთვის ძვირფასი არ იყავეს ქართველი ხალხის ბედ-იღბალი, რომელსაც მთელი სიჭაბუკე და სიცოცხლე შეალიე. თუ ეს ასეა, ამ ხალხის კეთილდღეობა, მისი დღევანდელი ვითარება მოითხოვს შენს კვლავ მასთან დაბრუნებას. ჩვენ გვწამს, რომ მიუხედავათ იმ მდგომარეობის, რომელიც შექმნილია ევროპაში, მიუხედავად შენი პირადი მეგობრულ დამოკიდებულების ევროპის სხვა და სხვა გავლენიან პირებთან და წრეებთან, შენ მაინც ქართველი მუშის კორძიან ხელით დაწერილ ბარათის სულს და გულს გაიგებ და კვლავ ჩვენს ბანაკში დაბრუნდები. ბევრის თქმა გვინდოდა შენთვის, მაგრამ ჩვენი ვინაობა და ამ წერილის შინაარსი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ გაიგო რა ხდება დღეს ქართველი მუშის და გლეხის გულში. სვეხ ველით დიდ ნოეს კვლავ ჩვენს ბანაკში დაბრუნებას. ჩვენ გვჯერა, რომ ის იმედს არ გაგვიცრუებს.

შენი პასუხის მოლოდინში მყოფნი **ყოფილი მენშევიკების ყრილობის პრეზიდიუმის წევრები და დელეგატები** (ხელის მოწერა).

---

*) ეს წერილი სრულიად საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ყრილობამ გაუგზავნა საზღვარგარეთ ნ. ჟორდანიას ა. წ. 30 აგვისტოს.

შტრეზემანის უკანასკნელი იმედები

შაბათს იწყება გადამწყვეტი მოლაპარაკება გერმანეთის მთავრობასა და „რეინის 15 კომიისიის“ შორის. მთავრობა წინადადებას მისცემს ოკუპაცია ქმნილ ოლქებს, შეეკრან მას კავშირით, რომლის ფარგლებშიაც ისინი ისარგებლებენ თვითმართველობის გაფართოვებული უფლებებითა და აგრედვე უფლებით, დამოუკიდებლად გადასწყვიტონ ეკონომიური და ფინანსიური სასითხები.

მთავრობას იმედი აქვს, ოკუპაცია ქმნილ ოლქების ფინანსიური მეურნეობის ჩამოშორებით საერთო სახელმწიფო ფინანსებისაგან, იხსნას დაცემისაგან ახლად გამოცემული ბრენტო მარკები.

ამ მოლაპარაკებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შტრეზემანის მთავრობის ბედ-იღბლისათვის,

შეთანხმებულთა პოზიცია

დემოკრატები სცდილობენ უზრუნველჰყონ სოც.-დემოკრატიის ჩეიტრალიტეტი შტრეზემანის მთავრობის მიმართ. სოც.-დემ. მოთხოვნილებანი ეხლა გამოიხატება ბავარიის მიმართ ენერგიულ პოლიტიკის წარმოებაში სამხედრო საალყო წესების გაუქმებაში და რეინის საკითხში ნათელ პოლიტიკის წარმოებაში.

შტრეზემანი მზად არის წავიდეს დათმობაზედ

შტრეზემანი მზად არის წავიდეს დათმობაზედ, ოღონდ კი შეინარჩუნოს პარლამენტში უმრავლესობა. პარასკევს რეიხსტაგის ფრაქციათა თათბირზედ ცენტრისა და სახალხო პარტიის ბელადები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ჯერ უდროულია მთავრობის კრიზისი“ ცენტრსა და ნაციონალისტებს შორის დამოუკიდებლობაში გულგრილობა ემჩნევა.

პალლეს სოციალ-დემოკრატები გადავიდნენ კომპარტიაში

პალლეს სოც.-დემოკრატიული კავშირის ორგანიზაცია კომპარტიაში გადავიდა.

დემოკრატები ეწინააღმდეგებიან დირექტორიის დაარსებას.

რათა აიცდინონ თავიდან მემარჯვენე დირექტორია, დემოკრატები სცდილობენ მთავრობის კრიზისის ასეთი შედეგი თავიდან აიცდინოს სამხედრო წესების გაუქმებით.

მბეჭდავთა გაფიცვის მეთაურნი სამართალში არიან მიცემული.

მბეჭდავთა გაერთიანებულ კავშირის თავმომარე და ფაბკომების ბევრი წევრი მიცემულ არიან სამართალში, მბეჭდავთა გაფიცვისა-მოწოდების გამო. პოლიგრაფიულ მწარმოებლი კავშირმა უარი სთქვეს მუშათა წარმომადგენლებთან ყოველგვარ მოლაპარაკების დაწყებაზე, შესაძლებელია კავშირმა დათხოვნილი მუშები ოკალოს შტრეიკბეხერებით, რომელნიც გაფიცვა დროს მუშაობდნენ.

მემთანხმებლები კვლავ საბოტაჟს ეწევიან.

პროფკავშირთა შერეულ კომისიისა და მოსამსახურეთა გაერთიანების კრებაზედ კომუნისტებმა მოითხოვეს სექტის ბრძანებებთან ბრძოლა და საერთო გაფიცვის გამოცხადება.

ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის წარმომადგენელი, ეთანხმება რა სამხედრო სარდლობის ბრძანებათა წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას, აცხადებს, რომ გაფიცვა ბერლინის მასშტაბით უნაყოფო იქნება.

მელითონეთა პროფკავშირის რემორმისტი მეთაურნი გადაწყვეტით ეწინააღმდეგებიან საერთო გაფიცვის გამოცხადებას.

კომუხისტების წინადადება მცირე ხმის უმრავლესობით უარყოფილი იქნა.

„მსხნელნი“.

ბავარიის „მამულიცილთა კავშირები“ მოწოდებაში აცხადებენ: „გერმანელებმა გადააჭარბეს თავისი მტრების იმედებს. მიუნხენში დაიღვარა მხოლოდ გერმანელთა სისხლი, ამ სისხლმა უფრო მეტიდ ჯ უნდა შეაკავშიროს ყველა გერმანელი. კარმა თავისი ჩარეკით იხსნა სახელმწიფო. ახლა ხსნა სჭირია საშობლოს“. მოწოდება მოითხოვს გაერთიანებასა და შეთანხმებულ გამოსვლას საერთო მტრების წინააღმდეგ.

„ფოსიშე ცეიტუნგი“, მოჰყავს რა შემთხვევები, როდესაც სამხედრო მართებლობა ერეოდა ცალკე სამინისტროების საქმეებათ, სწერს: „მთავრობა ვეღარ იპოვის ახალ საბუთებს ბურჟუაზიული მთავრობის მოთხრვნილებათა წინააღმდეგ სამხედრო მდგომარეობის სამოქალაქო განსაკუთრებულ მდგომარეობად გადაქცევის შესახებ, თუ არ იხრუნა გაფანტოს შთაბეჭდილება, რომ სამხედრო დიქტატურა ეხლა უკვე მომხდარი ფაქტია“.

კომუნისტ დეპუტატის ბნელლერის განთავისუფლება.

საქსონიის ლანდტაგმა, ბურჟუაზიულ პარტიების ხმების წინააღმდეგ, დაადგინა, დაუყონებლივ განთავისუფლებულ იქმნეს რეიხსვერის მიერ დაპატიმრებული კომუნისტი დეპუტატი ბნელლერი. გერმანეთის კონსტიტუციის თანახმად, დადგენილება უიპერაციოა.

რეიხსვერისა და ფაშისტთა უწესობა.

ნეცშკაუში (საქსონია) ქალაქის თვითმართველობის წევრს, სოც.-დემოკრატს დაეცნენ უცნობი პირნი, რომელთაც სამოქალაქო ტანსაცმელის ქვეშ რეიხსვერის ფორმა ეცვათ. ბოროტ-გამზრახველნი დააპატიმრა პოლიციამ. „ფორვერტსის“ ცნობით, დაცემის შემდეგ, ქალაქში ავტომობილებით მოვიდნენ რეიხსვერის ჯარის კაცნი და შემოარტყეს რა ქუჩას ალყა, დაპატიმრეს დაზარალებული და მისი შვილი.

ბანკირები არ ემორჩილებიან შრომის მინისტრს.

ბერლინში ბაფების გამგეობებმა უარი სთქვეს გერმანეთის შრომის მინისტრის დადგენილებაზე, ბანკის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის ოქროს ანგარიშით დანიშვნის შესახებ, რადგანაც მათი აზრით, ამრიგად მეტად დიდი ხელფასი მოსდით. ხელფასის ოქროს ანგარიშზე გადასვლა, ბანკირების აზრით, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სამუშაო დღის საკითხი გადასწყდება ბანკის სასარგებლოდ.

სად მიგვიყვანს მბეჭდავთა გაფიცვის ჩაშლა.

მბეჭდავთა და წიგნქვილების მუშათა გაფიცვების უნაყოფოდ დამთავრება უეჭველად გამოიწვევს სამხედრო ძალებზე დამყარებულ კაპიტალის შეტევას.

ფაშისტთა პროკლამაციების აღკრძალვა.

კარმა აღკრძალა ისეთი მოწოდებებისა და პროკლამაციების გავრცელება, რომლებიც არ იზიარებენ მთავრობის განწყობილებას უკანასკნელ ამბებისადმი.

ისტორიული მოვლენა.

გერმანეთის ოფიციერთა ყველა კავშირებმა კრონპრინცს მიულოცეს გერმანეთში დაბრუნება. ნაციონალისტრი პრესა კრონპრინციის დაბრუნებას „ისტორიულ მოვლენად“ სთვლის. პრესის წარმომაგენლებთან საუბარში კრონპრინცმა ხაზი გაუსვა, რომ მის დაბრუნებას კერძო ხასიათი აქვს.

კრონპრინცი „ქველმოქმედობს“

ყოფილმა კრონპრინცმა თავისი დაბრუნების ვამო ელსის ქალაქის თვითმართველობას დაავალა დაურიგოს უღარიბეს მტხოვრებთ 100 ცენტნერი კარტოფილი და 500 პური.

ჰსურთ საკუთარი ვალიუტა შემოიღონ.

ბავარიის ფინანსთა მინისტრი გაემგზავრა ბერლინში, რათა გამოარკვიოს თავისი საკუთარი სრულ ფასიანი ვალიუტის შემოღების საკითხი. მიუნხენის პრესა აგიტაციას ეწევა ამ მიმართულებით და მიუთითებს ჰამბურგისა და ბადენის მაგალითებზე.

უცხოეთი

ვოროვსმის მკვლელების გაჰართლება

ბერლინი. ლოზანიდან იუწყებიან, რომ ამხ. ვოროვსკის მკვლელები კორადი და პოლუნინი ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა.

ახალი ამბები

— **განათლების მუშაკთა სახლში.** სამშაბათს 10 ნოემბერს, საღ. 7 ს. სომხური ენის მასწავლებელთა წრეში ს. ფისიციანის მოხსენება: „სომხური ენის წარმოშობა და შემადგენლობა მისი“.

პარასკევს 23 ნოემბერს, საღ. 7 ს. რუსული ენის მასწავლებელთა წრეში ცნობების მოწოდება რუსულ ენის პროგრამების შესახებ. (პეტროგრადის პროგრამები და შვიდწლედი 1922 წ.)

8 საათზე ნ. ვ. ვოლკოვის მოხსენება: „ნეკრასოვის ლექსის“ გლეხის ბავშვების გარჩევა ფორმალური მეთოდით.“

შაბათს 24 ნოემბერს, საღ. 7 ს. საბიბლიოგრაფიო წრის კრება.

— **გვთხოვენ გამოვაცხადოთ.** დავკარგე სახალხო კომისართა საბჭოს სასახლეში შესასვლელი ბილეთი (მუდმივი) № 115 გიორგი გერასიმეს ძე ცაგარელის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **პარტორგანიზაციები ახალსენაკში.** ახალსენაკში, ადგილობრივ აღმასკომის ცნობით, ქალაქში და მაზრაში ამ ჟამად არსებობს 37 პარტიული ჯგრედი და 48 პოლიტწრე.

— **კოოპერაციის მდგომარეობა საქართველოში.** ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, საქართველოს კოოპერაციას, მიუხედავად ბაზრის ფასების მერყეობისა, ცვლილება არ ეტყობა. ოაც შეეხება აზერბეიჯანსა და სომხეთს, აქ კოოპერაციის საქმე შეფერხებულია.

— **მცირე მიწიანი სოფლები.** ქ. აღმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილების მიერ აღრიცხულია 26 სოფელი, რომელთაც მიწები ნაკლებათ და სადაც მიწების ჩამორთმევა ჯერაც არ არის ცხოვრებაში გატარებული.

— **შრომის ბირჟა.** 17 ნოემბერს შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადდა—25 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—23 მუშა, გაიგზავნა სამუშაოზე 64 უმუშ.

— **უცხო ენების კურსები!** პროფგანყოფილების მთავარ მმართველობის განმარტების თანახმად, ტფ. უცხო ენების კურსებზე სწავლა იქნება ფასიანი. მოუაჟეთა განთავისუფლება სწავლის ფულისაგან შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თვით კურსების შუამდგომლობით.

— **სამხედრო ბეგარა პრაქტიკანტებისათვის.** პროფ. განმ. მთავარ მმართველობამ, შუამდგომლობა აღძრა სამხედრო კომისარიატის წინაშე, რომ მე-2 ინტუსტრიალურ ტეხნიკუმში კურს დამთავრებულ პრაქტიკანტებს გადაუდოთ სამხედრო ბეგრის მოხდა, პრაქტიკის დამთავრებამდე.

— **სწავლის ფულისაგან განთავისუფლება სამხატვრო აკადემიაში.** განათლების სახალხო კომისარიატმა დაკმაყოფილა მთავარ სახელოვნო კომიტეტის შუამდგომლობა, რათა სამხატვრო აკადემიის პროფესორთა საბჭოს უფლება მიეცეს მოწაფეთა 10 პროცენტი გაანთავისუფლოს სწავლის ფულისაგან.

— **მიწის რეფორმისათვის** ქ. აღმასკომის მიზად-მოქ. განყოფილების მიერ მიწის რეფორმის განხორციელებაზე ივლის-სექტემბრის თვეების განმავლობაში დახარჯულია 245 სამუშაო დღე.

— **სურსათ-სანოვაგის გასინჯვა.** ქ. ქიმიურ ლაბორატორიის მიერ 1923 წლის 9 თვის განმავლობაში მოხდენილია სურსათ-სანოვაგის ანალიზი (გასინჯვა)—2884 ჯერ. უვარგისი სურსათ-სანოვაგე აღმოჩენილია 1521 ჯერ.

— **მობილიზაციიდან დაბრუნებული უმუშევრები.** საკავშირო საბჭოს წინადადებით, შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა: მობილიზაციიდან დაბრუნებული უმუშევრები იგზავნებოდნენ პროფკავშირის წევრების რიგთან ერთად.

— **ბინის გაქურდვა.** 16 ნოემბერს ვერის დაღმარ. № 7-ში, გაქურდული იქნა მოქ. პრაკოფი გოცირიძის ბინა, საიდანაც წაღებულია ტანისამოსი და საიჯარო ნივთები, ღირებული ორ მილიარდ მანეთად. ეჭვით შეპყრობილია მოქ. გენირიხ ლონგო.

— **ქურდობა.** 16 ნოემბერს საღამოს 6 საათზე პლეხანოვის პროს. № 116-ში გაქურდული იქნა მოქ. ლუარსაბ ჯაჯანაშვილის ბინა; საიდანაც—წაღებულია ტანისამოსი ღირებული 2 მილიარდ მანეთად, შეპყრობილი იქნა ნაპარავი ნივთებით ვლადიმერ ეკოროვი (13 წლისა).

— **თავდასხმა.** 16 ნოემბერს მოქ. დოლიას თავს დაესხნენ გორის ქუჩაზე მე-10 უბ. რკინიგზის ბატალიონის წითელი არმიელები, რომლებმაც წაართვეს ტანსაცმელი. მიღებულ ზომებით ერთი მათგანი შეპყრობილი იქნა როდელაც აღმოჩნდა სკუკინი.

— **ქურდის შეპყრობა.** 15 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. მიხა ბაიანდურაშვილი, რომელსაც ბრალი ედებოდა სხვა და სხვა ქურდობაში რაშიაც იგი გამოტყდა.

— **ქიმიურ—მიკროსკოპიული სადგურის მოქმედება.** 1923 წ. იანვარის—სექტემბრის თვეების განმავლობაში ქ. მიკროსკოპიულ სადგურების მიერ გასინჯულია—15,849 ფუთი ხორცი აქედან უვარგისი და დაავადმყოფებული საქონლის ხორცი აღმოჩნდა 525 ფუთი.

— **შკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლი.** ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე შკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება საღამო მოხსენებით ანტირელიგიურ თემაზე ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის მოზრდილთათვის მაღალი ტიპის შკოლების მსმენელთათვის.

იმავე შენობაში პარასკევს, 23 ნოემბერს, წაკითხულ იქმნება მოხსენება წერა-კითხვის სწავლების მეთოდების შესახებ.

— **ვალიუტის კურსი.** 18 ნოემბერი.

ჩერვონეცი	134.000	მ.
სტერლინგი ეფექ.	126,500	„
ჩეკი.	119,000	„
დოლარი ფექ.	29,000	„
ჩეკი.	27,000	„
ოსმალური ლირა	15,000	„
საბჭოთა ფული	12,000	„

პარტიაში

სამშაბათს, 20 ამ თვეს საღამოს 6 საათზე პარტიული ბიოროს ოთახში № 1. დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა, ყველა წევრებს ევალებათ აუცილებლად დასწრება.

———

ტფილისის კომიტეტის პლენუმის უკანასკნელ სხდომის დადგენილების თანახმად მოვალენი არიან პარტიის წევრები და კანდიდატები 20 ნოემბერს შეავსონ ანკეტები ანკეტების შევსება სწარმოებს ტფილისის კომიტეტის ოთახში; დილის 9—12 საათამდე, საღამოს6—8 საათამდე.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **გ. ლასკარი.**

———

მემარცხენე სოც. ფედ. სტუდენტთა კომიტეტი ამით აცხადებს, რომ თანახმად ცენტრალურ გამწმენდ კომისიის განკარგულებისა გამოცხადებულია პარტიულ სტუდენტთა წევრების რეგისტრაცია. ამხანაგები უნდა გამოცხადდენ პარტიის ცენტრალურ ბიუროში 20 და 21 ნოემბერს საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

ისინი, რომლებიც აღნიშნულ დროზე არ გამოცხადდებიან, გამორიცხულნი იქნებიან პარტიიდან მექანიკურად. ანკეტების შევსების დროს ამხანაგებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

სტუდენტთა კომიტეტის თავმჯდომარე:
გ. ასათიანი.

მდივნის მაგ. **ნ. მეხი.**

გრძნობლის ვალისკენ

საქართველოს კომკავშირის არსებობის ექვსი წლის თავზე რევოლიუციონური გრძნობებით გამთბარ სალამს ვუძღვნით ჩვენს თანამებრძოლთ, კომუნისტურ ახალგაზდობას

დღეს ექვსი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ქართველი გლეხურ-მუშური ახალგაზდობა ორგანიზაციულათ დაირაზმა კაკობრიობას უდიდესი მტრის—კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მენშევიკურმა საქართველომ ოქტომბრის ლოზუნგებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. მენშევიზმმა მუშების უმეტესი ნაწილი რევოლიუციონერ-ებისაკენ გადაისროლა და მისი ოვალების ასახველად ენინ-ბილი ფორმულა „[illegible]“ [illegible]ნა, ხოლო ნამდვილათ კი იმპერიალიზმის ლაქიობა იკისრა.

ასეთი მდგომარეობა ფსიქოლოგიურათ აუტანელი შეიქნა მებრძოლი ახალგაზდობისათვის და იგი ორგანიზაციულათ დაირაზმა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ახალგაზდათა კომკავშირის სახით.

ეს ქართველი ახალგაზდობის ერთი საუკეთესო რევოლიუციონური ნაწილია.

მეორე ნაწილი, მოქცეული სოც.-ფედერალისტთა პარტიაში, ვერ ურიგდებოდა პარტიის ზედაფენების პოლიტიკას, რომელიც არ ღალატობდა მენშევიკების მთავარ დებულებას: დემოკრატიზმით—სოციალიზმისკენ“, პარტიის მესვეურები სრულიად ივიწყებდენ არჩილის ბრძოლის ფილოსოფიას, რომელიც გვასწავლიდა, რომ **„ჩვენ დემოკრატიული რეჟიმის საშვალებით სოციალიზმს ვერ განვახორციელებთ“**, არამედ სოციალური რევოლიუციით, რომელიც იქნება **„პირისპირი შეტაკება შრომისა და კაპიტალისა“** და ამ ბრძოლისთვის სოციალისტური „პარტია უნდა ემზადებოდეს **დღესვე“** ახალგაზდობამ სოც.-ფედერალისტთა პარტიაში გაჩაღა სასტიკი ბრძოლა და მიემხრო პარტიის მემარცხენე ფრთას, რომელმაც გასაბჭოების შემდეგ მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია შექმნა. იგი ახალგაზდობა დღეს მთლიანად ერთდება კომკავშირის რევოლიუციონურ რიგებს.

ქართველი ახალგაზდობა რთულ ისტორიულ მომენტში არ დაიბნა. მან მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება იბრძოლოს ოქტომბრის რევოლიუციის ლოზუნგების ქვეშ და ბურჟუაზიული სამყარო მსოფლიო რევოლიუციის ცეცხლით გადაბუგოს თავისი ექვსი წლის ორგანიზაციული ბრძოლით მან ნათელყო, რომ იგი ღირსეული გუშაგია რევოლიუციის სადარაჯოზე.

იწყება მეშვიდე წელი, რომელიც უსათუოთ მოგვიტანს გადამჭრელ შეჯახებებს შრომისა და კაპიტალს შორის. რევოლიუციის ცეცხლი აგიზგიზდა მსოფლიო მაშტაბით. მებრძოლთა ყურადღების ცენტრი გერმანია შეიქმნა, სადაც დღეს „სოციალისტ“ ებერტების წყალობით რეაქციის მოცაქულები — ფაშისტები — თავისუფლად დათარეშობენ, მაგრამ განვლილი ბრძოლის გამოცდილება, გერმანიის პროლეტარიატისა და კომუნისტური ახალგაზდობის რკინის დისციპლინა საკმაო საბუთია იმისა, რომ ბნელი ძალების ყოველგვარი ცდა, მუშათა დამონებისაკენ მიმართული, საბედისწეროდ დაიმსხვრევა რევოლიუციონერების ფოლადისებურ ნებისყოფაზე და ამ ბრძოლის დროს ქართველი ახალგაზდობა, ახალგაზდათა კომინტერნის დროშის ქვეშ, თავის მოძმე გერმანელ ახალგაზდობას გვერდში ეყოლება. მეთორმეტე საათმა უკვე დაჰკრა.

ბრძოლის ველისკენ!—ამ ლოზუნგით უნდა გადავიდეს ახალგაზდათა კომკავშირი მეშვიდე წელში.

დ. ლორთქიფანიძე.

ტფილისის საბჭოთა არჩევნები

ტფილისის საბჭოთა არჩევნები ახლო ხანში დაიწყება. საქართველოს მშრომელი ხალხი, არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს, რათა გაამტკიცოს მუშათა წითელ არმიელთა დიქტატურა.

ტფილისის პირველი საბჭოს არჩევნები, რომელიც მოხდა 1921 წელს საქვეყნოდ მეტყველებდა, რომ ტფილისის მუშათა კლასის რევოლიუციის რიგებში ჩამდგარი და იგი კომპარტიის ძლიერი დასაყრდენია.

რევოლიუციის გარეშე არ არის ხსნა ქართველი მშრომელის ეროვნულ კლასობრივ ინტერესისა, ამიტომ იგი შეგნებულად ღებულობს აქტიურ მონაწილეობას რევოლიუციის ფრონტზე, რომელიც გამოიხატება: 1) მრეწველობა მეურნეობის აღდგენა—განვითარებაში. 2) კონტრ-რევოლიუციის საწინააღმდეგო ძალის დარაზმისა და ფხიზლად რევოლიუციის სადარაჯოზე დაყენებაში, როგორც სამეურნეო, აგრეთვე თავდაცვითი საშუალების გაცხოველება და საზოგადოთ მთელი მუშათა კლასის გონებრივ—ფიზიკური ენერგიის მიპყრობა ამ ორი საკითხისაკენ თავს იდვა მუშათა და წითელ არმიელთა საბჭომ.

მკითხველს თამამად შეუძლია გაიგოს ქვემოდ თუ რამდენათ შეასრულა პირველმა საბჭომ თავისი დაპირება მშრომელი ხალხისადმი.

საბჭოთა ხელისუფლებამ სამი წლის მუშაობაში სამეურნეო ფრონტზე მეტათ საგრძნობ გამარჯვებას მიაღწია. ეკონომიურად ჩვენი მშრომელი ხალხის მდგომარეობა თან და თანობით გაუმჯობესდა.

ჩვენ დედა ქალაქში მრეწველობა თანდათანობითი დგება თავის ნორმალურ პირობებში, ჰიდროელექტრონის სადგური, რომლის ინიციატივა ეკუთვნის ტფილისის საბჭოს ეს დიდი გამარჯვებაა მშრომელი ხალხის.

ტფილისის საბჭო გამომხატველია მშრომელი ხალხის სულის კვეთების.

ტფილისის საბჭოში ვერ ნახავთ სპეკულიანტს, კაპიტალისტს, ძველ ძმამუელს, ჩარჩების წარმომადგენელს. ტფილისის ბედს კომუნისტური პარტია

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

განაგებდა, რომელიც პირმშო შვილია მშრომელი ხალხის.

ტფილისის საბჭოში მშრომელი ხალხის დიქტატურის გამტკიცებამ გამოაშკარავა მენშევიკების და მემარჯვენე პარტიების იდეური კრახი და გაკოტრება.

ტფილისის პროლეტარიატმა უარყო მენშევიზმი, როგორც რეაქციონური იდეოლოგია და მხარში ამოუდგა კომუნისტურ პარტიას. მენშევიზმი, როგორც პარტია ძალარ შეესაბამება ასეთ ცხოვრებას, მისი დაშლა ორგანიზაციული აღმოფხვრა არის თავდები საქართველოში ნორმალურ სოციალისტურ აღმშენებლობასა.

დღეს მესამეჯერ ხდება ტფილისის საბჭოს არჩევნების. ტფილისის მშრომელი ხალხი კვლავ გვერდში უდგას კომუნისტურ პარტიას.

არც ერთი ხმა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.

გაუმარჯოს ტფილისის საბჭოს.

გ. ლ.

ᲔᲡᲐᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲠᲫᲜᲝᲑᲐ?

(პოეტ ტერენტი გრანელის საღამოს გამო)

ქართული ინტელიგენციის სენი ის არის, რომ სიცოცხლის დროს ნაკლებად აფასებენ ადამიანს; უნდა დააფასონ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ და უძღვნან ვრცელ-ვრცელი ნეკროლოგები, რათა უჩვენონ საზოგადოებას, ჩვენ ვართ და ვაფასებთ ყველა იმათ, ვინც ნიჭიერია და შემომქმედი და ვინც სიცოცხლის დროს ჩვენ არ გვახსოვდა, მაგრამ სიკვდილის შემდეგ მაინც არ დაგვიწყებიაო! და აქ ამოიწურება თითქმის „თავდადება“, საზოგადო მოღვაწე იქნება ეს თუ პოეტი, მწერალი თუ —მხატვრის მიმართ!

საქართველოში ბევრი ახალგაზდა გამოვიდა პოეტურ სარბიელზე. ზოგიერთ მათგანს აუტანელ მდგომარეობაში უხდება გაშლა თავისი პოეტური პოტენციის, ზოგიერთებს-კი გახამებული საყელოებით სიარული არგუნა „ბედმა“.

ბევრი თანამედროვე პოეტი საქართველოში უკიდურეს სიღარიბეს განიცდის და არავინ ყურსაც არ იბერტყავს! მის მაგივრად, რომ მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ, გულცივობასაც არ აკლებენ.

ამა ამაზე უფრო მეტი გულცივობა, საბოტაჟი იქნება, რაც ტ. გრანელის საღამოზე მოწვეული რამდენიმე ათეულ მწერალ-პოეტებიდან გამოცხადდა 3 თუ 4? მაგრამ ვინ გამოცხადდა?—ისინი, ვინც პროლეტარულად ატარებს ამა წუთის სოფლის სოფლის ცხოვრებას და ისინი, ვინც ალტრუისტული გრძნობით იყვნენ შეპყრობილნი და რომელთაც გახამებული საყელოები „ვერ შეუძენიათ“!

რა იქნებოდა ამ საღამოზე კეთილ ენებათ და მოეკოდვილებინათ ერთი ორ-ორა ლექსები, რომ პოეტის საღამოსათვის მეტი ელფერი მიეცათ და აეშორებიათ ხალხისათვის ის ეაკხანალია რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა!..

ტ. გრანელის დიდის მიცემა შეუძლია ქართული მეტყველებისათვის და ასე ცივად არ უნდა მიდიოდეს მისი ცხოვრება, ასე დღიურ ლუკმა-პურის შეძენის ფიქრებში არ უნდა იფერფლებოდეს ეს დაუშრეტელი სულის სავანე! საჭიროა ქართული საზოგადოება ცოტათი ჩაფიქრებოდეს ამ პოეტის მდგომარეობის გაუმჯობესობას!

პოეტი აუტანელ მდგომარეობაშია და მას დახმარება სჭირია, რომ წავათამამოთ და წავახალისოთ. ვინ იცის რამდენ ტკივილებს გრძნობდა პოეტი ამ საღამოს? ვინ იცის რამდენ ცრემლებს, გოდებას ექნებოდა ადგილი მის სულიერ სილრმეში? ყოველი მაყურებელი მის საღამოზე ამას ამოიკითხავდა მის მკრთალ სახეზე:

ნუ თუ მე ასეთი „თანაგრძნობის“ ღირსი ვარ ამხანაგებისაგან!!

მაგრამ ნათქვამი: მაძღარ მღვდელს, დიაკვანიც მაძღარი ეგონაო.

ვალერიან წერეთელი.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

ზამთარი, დასრულებული წიგნი ბავშვებისათვის, 36 გვ. ტფილისი, 1923 წ. სახელმწიფო გამომცემლობა.

ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურა ძლიერ ღარიბია. კერძო გამომცემლობა აღარ ხერხდება და სახელმწიფო გამომცემლობა ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას. მაგრამ რაც კი გამოუცია განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია გარეგნული სილამაზისათვის, ამ მხრით, შეიძლება ყველას სჯობდეს „ზამთარი“. წიგნის კანი მშვენიერი ფერადი სურათებითაა შემკული და ჩინებულ შთაბეჭდილებას ახდენს.

სამწუხაროდ იგივე არ ითქმება შინაარსზედ. წიგნში მოთავსებულ მასალას ეჩნევა, რომ დამზადებულის განჩრახ ამ კრებულისათვის და პატარა ბავშვებისათვის. რასაკვირველია, ასეთი ნაკლი თითქმის ბუნებრივი თვისებაა ყოველნაირი საბავშო ლიტერატურისა. იშვიათია ასეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც განზრახ ბავშვებისათვის არაა დაწერილი. მაგრამ სწორედ ბავშვებისათვისაა გამოსადეგი. მცირე წლოვანთათვის კი ასეთი სულაც არ მოიპოვება.

ძალიან ძნელია ბავშვებისათვის და განსაკუთრებით უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის, ხატვრული ნაწარმოების შეთხზვა. ამიტომაცაა, რომ ცოტანია საბავშო მწერლები ყველგან და განსაკუთრებით ჩვენში.

„ზამთარში“ მოქცეულ მასალათა ავტორნიც არ იქნებოდნენ ამ სასაყვედურონი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ შესაძლებელი იყო უფრო პოეტური, უფრო სურათოვანი სტილი. არც ერთ მოძრაობაში და ლექსში არაა რაიმე დამაინტერესებელი ინტრიგა. მით უფრო საჭირო იყო სურათოვანი, მხატვრული ენა, თორემ აღარაფერი რჩება ბავშის წამახალისებელი, რისთვის წაიკითხავს ბავში წიგნს? მას გაიტაცებს ან შინაარსი, ან მხატვული პოეტური ელემენტი. „ზამთარში“ ორივე მხარე სუსტია. ამით მე სრულიად არ ვიწუნებ, არც წიგნსა და არც ავტორებს. პირიქით, წიგნი სასარგებლოა და მასალაც შესაფერია შერჩეული, მე მხოლოდ შენიშვნის სახით გამოვსთქვამ ჩემ აზრს. ისე კი ამ წიგნს მაინცა და მაინც წუნი არ დაედება და იშვიათი გამოცემაა. დართული აქვს ბევრი სურათები და მათ შორის ორი ფერადი ნახატი ძალიან კარგად შესრულებული.

დართული აქვს აგრეთვე სიმღერა „რა ლამაზი ხარ ნაძვის ხეე“ ნოტებით, ლექსი მიმქრალისა, თ. შავერზაშვილისა.

ვისაც ბავშები ჰყავს და სურს აამოს მათ, უსათუოთ შეიძენს ამ წიგნს.

პ. ჭ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

„ᲒᲛᲘᲠᲘ“ ჯ. სინგის.

ქართულ აკადემიურ დრამის პრემიერა, ჯონ სინგის პიესა „გმირი“,—რომელიც დადგმულ იქნა 15 ნოემბერს, ეკუთვნის იმ პიესათა ციკლს, რომელთაც სარჩულათ უდევთ დიდებული თემა, მაგრამ რომელთა შესრულება და მხატვრული კონცეპცია არ აღემატება საშუალო ხარისხის ნაწარმოებთ.

ჯონ სინგის პიესის შინაარსიც, ინტრიგაც თავის თავად მეტად საინტერესოა, მაგრამ რთულ შინაარსის დაწყებას და კვანძის გახსნას სჭირია კალმის გენიალური ტეხილები.

რას წარმოადგენს სინგის პიესა? თქვენ გგონიათ ახალი რამაა, თემა მიუვალი და ჯერედ უცნობი? „გმირი“ ჩვენთვის დიდი ხნის ნაცნობი „ხლესტაკოვჩინა“ არი. არა ერთს და ორ ასეთ გმირს გაუთამაშნია ჩვენ წინ და დღესაც არა ერთი და ორი თამაშობს ამ „გმირის“ როლს!

როგორც ხედავთ აქ ახალი არაფერია და არც თუ „სიახლეა“ საქმე. შეიძლება სრულიად ძველი ამბავი შეთხზათ, მაგრამ ისეთი ფერადებით ასახოთ უკვე ნახული და გაგონილი, რომ მისცეთ სულ ახალი პსიქოლოგიური ელვარება.

მაგრამ ჯ. სინგის პიესაში არ არის ასე. მთელი შინაარსი პიესისა იმაზედ ტრიალებს, რომ ვინმე უვიცს მამა მოუკლავს, მაგრამ რადგან ეს ამბავი არ არია უბრალო სენსაცია, არამედ არა ბუნებრივი მოვლენაა, უვიცი ხალხი ამაში ხედავს რაღაც ზე-კაცურს და „მამის-მკვლელს“ ნათლავს გმირად.

რა არის ეს? უბრალო არაკია, დაცინვა საზოგადოების წესწყობილებაზე თუ ბასრი და ულმობელი სატირაა—სატირულ სარკაზმით მოთხრობილი?

მე ვიტყოდი პარადოქსალურად: ყველაფერი და არაფერი.

ჯონ სინგის პიესაში მრავალი საინტერესო მომენტია აღებული, მაგრამ პსიხოლოგიური სისწორით სრულიად ვერ არის განვითარებული. სრულიად წარმოუდგენელია, რომ იმ კაცმა, რომელმაც ნამდვილად არც მამა მოკლა, არც სხვა რამ საგმირო საქმე ჩაიდინა „შემთხვევით“ გაიმარჯოს დოღში და ასე ეს „ცრუპენტელა“ ადამიანი იდაფნებოდეს ხალხის მიერ. ჯონ სინგის პიესაში ბევრია ყალბი მომენტები და სცენიურ გაგებით მოსაწყენი ადგილებიც. ამიტომ ადვილი ასახსნელია, რომ ამ პიესამ თავის სამშობლოში დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და ბევრიც აჯანყდა მის წინააღდეგ. და როგორც ყველგან სჩვევია საზოგადოების აზრის შუა გაყოფის დროს, ნაწარმოების დაფასებაში—ბევრმა ჯ. სინგის პიესა მონათლა გენიალურ ნაწარმოებად.

გენიალური აქ არაფერია, მაგრამ ამ პიესის მოსმენა შესაძლებელია და საინტერესო არის კიდეც იმ შემთხვევაში, თუ იგი კარგად იქნება დადგმული და შესრულებული.

ქართულ სცენაზედ კი ეს პიესა არამც თუ კარგა იყო დადგმული—პირიქით, ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა, და ჩვენ გვგონია თვით ავტორიც რომ დასწრებოდა ამ საღამოს თავის „გმირის“ ქართულ წარმოდგენას, უკეთეს შესრულებას ვერ ინატრებდა.

რეჟისორებმა კ. მარჯანიშვილმა და ა. ახმეტელმა ამ საღამოს ამოსწურეს ჩვენი სცენის მაქსიმალური შესაძლებლობა და მორიგი წარმოდგენა—გარდააქციეს ნამდვილ კონცერტად.

პერსონალური შესრულება, მასსიური სცენების შესრულება, უბრალო რემარკებიდანაც ნიუანსების გამოყოფა—იყო ანსამბლის ნამდვილი დოღი და რომელიმე მსახიობის აღნიშნა აქ ჩვენ სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ასეთი შეხმატკბილებელი მსახიობთა თამაში ჩვენ სცენაზე იშვიათად გვინახავს.

ქართული თეატრი დიდი ნაბიჯით მიდის წინ, წელს ეს მეორე პრემიერაა—„ინტერესთა თამაში“-ს შემდეგ, რომელიც თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ თეატრის ისტორიაში დიდ მხატვრულ მიღწევად.

„ინტერესთა თამაშმა“ და „გმირმა“ ჩვენ სრული იმედი მოგვცა, რომ წელს ქართული დრამის შემდეგ პრემიერებსაც, ალბად, ამისთანა გამარჯვება ელით..

ვახტანგ გარრიკი.

სახელმწიფო ოპერა—„ფრ -დიავოლო“.

სახელმწიფო საოპერო თეატრში განახლებული ოპერა „ფრა-დიავოლო“ კომპოზიტორმა ობერმა დასწერა 1830 წ. ობერი მთელი თავისი სიცოცხლე, ღრმა მოხუცებულობამდე (იგი გარდაიცვალა 89 წლისა) სწერდა მუსიკალურ ნაწარმოებს. მისი რომანსები მეტად გავრცელებული იყო საფრანგეთში დირექტორიის არსებობის დროს.

მაგრამ ობერის შემოქმედების შემდეგ მთელი რევოლიუცია მოხდა მუსიკაში, მან სრულიად ახალი მოთხოვნილებები წამოაყენა და ეხლა, ყოველივე ამის შენდეგ, ობერის შემოქმედება მოძველებული და გულუბრყვილოა თავისი ფორმებითა და პერსპექტივებით.

მართალია, ობერის ობერის ნაწარმოებებზედ უფრო ძველი და დიდიხნის მუსიკალური ნაწარმოებნი (როგორც, მაგალითად: მოცარტისა, როსსინისა და სხვა), მაგრამ ისინი უფრო ნიჭიერნიც არიან.

ობერის ნაწარმოებთა მთავარი განმასხვავებელი თვისება ის არის, რომ იგი ახერხებს ყველაფერს მისცეს ადვილად მისაწვდენი, ძალდაუტანებელი, ორიგინალური, ლამაზი ფორმა. ასეთივე უნდა იყოს ამ ნაწარმოებთა შესრულებაც, თორემ ეხლა ობერის შემოქმედებათა მოსმენა მკრთალი საკრავთ-წყობითა და არა სტილიანი მუსიკით—მოსაწყენია.

საანგარიშო საღამოს ოპერის შესრულება ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. თუნდაც დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ ცირლინისა და დაკაკომას პარტიების შესრულება მსახიობ ქალის კალანდაძისა და მსახიობ ისეკის მიერ, ყოველ შემთხვევაში არას გზით არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ უმთავრეს, ფრა-დიავოლოს პარტიის შესრულება მსახიობ კავსაძის მიერ.

მომღერალს ლამაზი ხმა აქვს (რამდენიმეთ ყელში მომღერალი), არ არის მოკლებული მუსიკალობას, მაგრამ იგი არ უკვირდება პარტიას და თავისი მონაწილეობით, ან უკეთ რომ ვსთქვათ, თავისი გულგრილი ქცევით მოქმედებისადმი,—ვნებს ანსამბლს.

მსახიობ კავსაძეს ჰმართებს სერიოზულად შეუდგეს იმ პარტიების დამუშავებას, რომლებშიაც იგი გამოდის, თუ ჰსურს წარმატება.

არ ვიცი რათ ფიქრობს მსახიობი კურბატოვი თითქოს ბეპპოს პარტიის მხიარული და თავისუფალი შესრულება უნდა შარჟად გადააქციოს—აქ რამოდენიმედ ისეკიც სცოდავს, რასაც მე არას გზით არ მოველოდი. წერილის კითხვა მთლიანად შარჟი იყო, რაც დასაშვებია მხოლოდ ოპერეტაში.

მსახიობი ქალი იანი და მსახიობი დემიანენკო ტიპიური ინგლისელი ტურისტები იყვნენ.

ნაკლებად დამაკმაყოფილებელი იყო გუნდი, რომელსაც გაუბედაობა და დეტონაცია ემჩნეოდა. Ensemble-ს აკლდა სიმტკიცე და რითმიულობა.

ობერის ოპერები ან სრულიად არ დაიდგას, რადგანაც მათ ეხლა აღარც მუსიკალური და აღარც აღმზრდელობით მნიშვნელობა აღარა აქვს, ან კიდევ, თუ დაიდგმება, უნდა დამთავრებულად დაიდგას, როგორც ფრანგული მუსიკალური კრის ნიმუში.

ალ. ყაზბეგის რომანი ეკრანზე. კინოტრესტი ამ ჟამად იღებს ლენტზედ ალ. ყაზბეგის ცნობილ რომანს „მამის მკვლელს“.

ახალი კინო-თეატრი. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე კინოთეატრის გახსნის ნებართვის მისაღებად.

ახალი ჟურნალი. გამოვიდა ყოველკვირეული ჟურნალი „სიმართლის ხმა“ პირველი №-ი, ა. ფარნიევის, კ. თოფაძის, ტ. შენგელიას, ა. რუხაძის და გ. ვარდოიანის რედაქტორობით.

აკაკის ნაწერები. სახელმწ. გამომცემლობა ან დღეებში დაიწყებს აკაკი წერეთლის ნაწერების ბეჭდვას. ნაწერები გამოვა რამდენიმე ტომად.

რუსული დრამა. სახელმწიფო დრამის მიერ სახალხო სახლში დღეს, 20 ნოემბერს, პირველად წარმოდგენილი იქნება ნიკოლოზ 1-ლი (დეკაბრისტები) ისტორიული პიესა 4 მოქმ. და 7 სურათად, ნ. დურნერისა. პიესაში გამოყვანილნი არიან ნიკოლოზ 1-ლი, რილევი ბესტუშევი, კახანოვსკი, ტრუბეცკოი, მურავიოვ-აპოსტოლი, პესტელი და სხვანი. პიესას დასდგამს ნ. შესტოვი.

სახალხო სახლის ძველ მოღვაწეთა სურათები. საიუბილეო კომიტეტის მიერ გადაწყვეტილია, რომ გადაღებული იქმნეს ყველა ძველ მოღვაწეთა სურათები, რომელიც ჩარჩოში გაკეთებული დაიკიდება სახალხო სახლის ფოიეში.

მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში. გაიხსნა მოსამზადებელი კურსები სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად.

სახელმწიფო ოპერა. დღეს 20 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება „კარმენი“ ოპერა 4 მოქ. მუსიკა ბიზეისი. კარმენის პარტიის იმღერებს არა რ ბონე, ბალეტი „ისსანიური ცეკვა“ დასდგავს დისკოვსკი.

რუსთაველის თეატრი. დღეს 20 ნოემბ მეორედ წაომოდგენილი იქნება „ცხვრის წყა ლოპე-დე-ვეგასი. თარგმანი კ. მაყაშვილისა. დ მა კ. მარჯანიშვილისა. მუაიკა თ. ვახვახიშვილ დეკორაციები მხატვარი ვ. აიდოშონ-ერისთა ხორო, მუსიკა, ბალეტი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ პარტიული მანდატი, მიღებული ტფილისის კომიტეტისაგან. ჩაითვალოს გაუქმებულად.

იასონ ანდრიას ძე ხოკერა.

ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔ ეკატერინე ალექსის ასულმა ჩაჩიბაიამ, პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტიდან, შრომის ბირჟიდან მოცემული ბილეთი საბჭოთა მოსამსახურეთა სექციიდან, ჩაითვალოს გაუქმებულად. ეკატერინე ალექსის ასული ჩაჩიბაია.

№ 462. 1—1

ᲑᲔᲭᲕᲓᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲮᲔᲚᲗᲐᲛᲬᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲠᲘᲗ ᲨᲔᲛᲔᲓᲔᲑᲡ:

ვინაიდან გაზეთები დღემდის იგზავნებოდა პროვინციაში ფოსტის საშვალებით, ხშირი იყო შემთხვევა, რომ გაზეთების ხელის მომწერლები ღებულობენ დაგვიანებით და ხშირად კიდევაც იკარგებოდა, რაც ჰბადებდა უთანხმოებას, როგორც ხელის მომწერთა და გაზეთების კანტორების შორის, აგრეთვე კანტორებსა და ექსპედიციის შორის, ამიტომ ექსპედიციამ საჭიროდ სცნო და შეუდგა პროვინციის ხელის მომწერლებზედ გაზეთების დარიგებას თავისი აგენტების საშვალებით, რისთვისაც ექსპედიცია სთხოვს პროვინციის ხელის მომწერთ, რათა მიიღონ ცნობისათვის, რომ ექსპედიციას ჰყავს თავის აგენტები ყველა ქალაქებში და დაბებში და აგრეთვე დიდ სადგურებზედ, წიგნებ-ჟურნალ-გაზეთების მოვაჭრენი, რომლებიც აღნიშნულია ქვემოდ ამისა სიაში:

1) ქალაქ ქუთაისში წიგნის მაღაზია ტყაბლაძე.
2) ქალაქ ლანჩხუთი . . აგენტი ურუშაძე.
3) ახალსენაკი . . . . „ ესებუა.
4) აბაშა . . . . . „ მიქაძე.
5) ხონი . . . . . „ გალდავაძე.
6) ფოთი . . . . . „ ქადეიშვილი.
7) თელავი . . . . . „ ჩიტოშვილი.
8) ჭიათურა . . . . . „ თოდრია.
9) სადგ. ბათომი . . . „ ნიკოლაიშვილი.
10) ქალაქი გორი . . . „ მაჭავარიანი.
11) „ სამტრედია . „ ახობაძე ან ანდრეევა.
12) ქალაქი ოზურგეთი აგენტი პოლიტ. განყ. გაგე ბარამიძე.
13) ქალაქი სუფსა . აგენტი ტაბიძე.
14) დაბა ჩოხატაური აგენტი ცინცაძე.
15) ქალაქი სიღნაღი „ თევდორაშვილი.
16) სადგ. ხაშური . „ ფოფელი.
17) ქალაქი ბორჯომი „ თაქოაქიშვილი.
18) სადგ. ყვირილა . „ ცხომელიძე.
19) „ შორაპანი „ გველესიანი.
20) სადგ. ხორაგოული „ მუშათა კოოპერატივი.
21) ქალაქი ზუგდიდი „ ხამაზრო კომიტეტი

ექსპედიცია განმეორებით სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, ვინაიდან ზემოაღნიშნული პირები ვალდებულნი არიან მიაწოდონ ხელის მომწერთ მათ მიერ გამოწერილი გაზეთები თავიანთ ბინებზე და დაწესებულებებს ორგანიზაციებში, ეოსთხოვონ აგენტებს მიზეზი გაზეთების არმიუღებლობისა, თ ასეთს ექნება ალაგი, რის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ ექსპედიციას ყოველივე გაზეთის დაგვიანებ უშუალოდ შემდეგის მისამართით:

ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 26. ტელეფ. № 5—43.

№ 404 3—3 ბეჭვდითი სიტყვის ექსპედ. გამგე: ა. ჩეჩელაშვილი.

ტირაჟი 19.10 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 831 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კოლეგინშტრინის ქუჩ № 4.